პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

24 აგვისტო
ხუთშაბათი,
1961 წ.
№ 128 (1764)
გამოდის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.





## ი. ნოვიკოვი — ოთხგზის ჩემპიონი

**მოსკოვი.** თანამედროვე ხუთჭიდში მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხე დღეს შეჯიბრების ლიდერმა ი. ნოვიკოვმა 300 მეტრზე ცურვაში სტარტი აიღო უნგრელ ი. ნადთან ერთად.

ი. ნოვიკოვმა და ი. ნადმა დასაწყისიდანვე ჩამოიტოვეს დანარჩენი მოწინააღმდეგენი და თანაბარი სისწრაფით უახლოვდებოდნენ ფინიშს. ი. ნოვიკოვმა უკანასკნელ მეტრებზე ბრწყინვალე ფინიშით პირველმა დაამთავრა დისტანცია — 3.56,7.

მომდევნო გაცურვაში ბრძოლა წარიმართა უნგრელ ა. ბალცოსა და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს ხუთჭიდელ ბ. პახომოვს შორის. აღსანიშნავია, რომ წინა ჩემპიონატზე სწორედ ა. ბალცოს ჰქონდა საუკეთესო შედეგი. უნგრელმა ახლაც აჩვენა ყველაზე კარგი დრო — 3.45,2. მაგრამ ი. დერიუგინმა შეძლო მისი შედეგის გაუმჯობესება, მიიღო 1080 ქულა და მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

გუშინ ჩატარდა მძლეოსნური კროსი. გაიმარჯვა უნგრელმა ა. ბალცომ. მეორე ადგილზეა ი. ნოვიკოვი. ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონის სახელი მეოთხედ მოიპოვა ი. ნოვიკოვმა. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ხუთჭიდელები პირველ ადგილზე არიან.

* * *

**სურათებზე:** ი. ნოვიკოვი დაბრკოლებათა გადალახვის დროს. მარჯვნივ — აშშ-ს წარმომადგენელი ა. ჯეკსონი ხუთჭიდელთა შეჯიბრების შუალედებში ესაუბრება მოსკოველ ბავშვებს.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

## საბჭოთა ნიჩბოსნების გამარჯვება

გასულ კვირას პრაღაში დამთავრდა ევროპის 50-ე საიუბილეო ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში ქალთა შორის.

შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის წარგზავნილები. დიდი ინტერესი გამოიწვია ფინალურმა შეხვედრებმა, რომლებსაც ათასობით სპორტის მოყვარული დაესწრო. ოთხმოსასმელიანი გასაშლელი ნავებით (მესაჭით) პირველობისათვის ბრძოლა გაიმართა სსრ კავშირის, გერმანიის გაერთიანებული გუნდისა და რუმინეთის ნიჩბოსნებს შორის. ფინიშთან პირველი იყო ჩვენი ქვეყნის გუნდი (ვ. ტერეხოვა, ნ. შკუნკოვა, ე. სერგეევა, ნ. შანანოვა, მესაჭე ვ. ტიმოფეევა) — 3.28,08.

ერთმოსასმელიანთა შორის ევროპის ჩემპიონი გახდა უნგრელი კ. პაპი. მეორე ადგილი დაიკავა ჩეხმა სპორტსმენმა ა. პოსტლოვამ, მესამე — ზ. რაკიცკაიამ (სსრ კავშირი). ოთხმოსასმელიან წყვილებში ევროპის ჩემპიონები გახდნენ სსრ კავშირის ნიჩბოსნები (ვ. ვასილიევა, ლ. სუსლოვა, ა. პაიუსალუ, ნ. პოლიაკოვა, მესაჭე ტ. ივანოვა). ორმოსასმელიან წყვილებში კვლავ თავი გამოიჩინეს სსრ კავშირის სპორტსმენებმა (ვ. კალუგინა, გ. ვეჩერკოვსკაია), რომლებმაც მოიპოვეს ევროპის ჩემპიონის სახელი.

რვამოსასმელიანი ნავებით რბოლაში ოქროს მედლების მფლობელნი საბჭოთა ნიჩბოსნები გახდნენ.

## გამარჯვება ოსლოში

გუშინ ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში შედგა ფეხბურთის მსოფლიო პირველობის შესარჩევი თამაში ნორვეგიისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის.

ნორვეგიელთა მდგომარეობა ქვეჯგუფში, სადაც მათ უკვე წააგეს თითო შეხვედრა თურქეთისა და სსრ კავშირის გუნდებთან, ფაქტიურად უიმედო იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი საფუძვლიანად ემზადებოდნენ ამ მატჩისათვის და მინდორზე განახლებული შემადგენლობით გამოვიდნენ: კასპერსენი; ბაკერი, ვინტერი; იუჰანსენი, სვენსენი, ტ. ანდერსენი; ბორგენი, ა. პედერსენი, რ. პედერსენი, ენსენი, ბ. ანდერსენი. საბჭოთა გუნდში თამაშობდნენ: იაშინი; დუბინსკი, მასლიონკინი, ჩოხელი; ვორონინი, ნეტო; მეტრეველი, ივანოვი, პონედელნიკი, ბუბუკინი, მესხი.

საბჭოთა კავშირის ნაკრებს სრული უპირატესობა ჰქონდა მატჩის დასაწყისიდანვე, მაგრამ თავდამსხმელებმა ვერ შეძლეს მთელი რიგი ხელსაყრელი მომენტების გამოყენება. მეორე ტაიმის პირველ წუთებზე წარმატებით დამთავრდა ორი შეტევა. მე-3 წუთზე ანგარიში გახსნა პონედელნიკმა, ხოლო წუთის შემდეგ მეორე ბურთი გაიტანა მესხმა.

31-ე წუთზე მეტრეველმა გაიტანა კიდევ ერთი გოლი და საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მატჩი მოიგო ანგარიშით 3:0.

ამრიგად, საბჭოთა ფეხბურთელებმა მოიგეს სამივე შეხვედრა შესარჩევ ქვეჯგუფში (1:0 თურქეთთან, 5:2 და 3:0 ნორვეგიასთან). დარჩა ერთი მატჩი თურქეთში, მასპინძელთა ნაკრებ გუნდთან.

## ტელეფონთან — ბაქო!

## სპარტაკიადა გრძელდება

მოსწავლეთა VII საკავშირო სპარტაკიადა გრძელდება. სპორტის სახეობათა მიხედვით ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენების შედეგები ასეთია:

### მძლეოსნობა

მოსწავლე მძლეოსანთა შეჯიბრების პირველ დღეს გამოვლინდა რამდენიმე ჩემპიონი. საკლასიფიკაციო შეჯიბრების დროს, როგორც ცნობილია, მ. ოყრომჩიძემ ბირთვი ჰკრა 15,85 მეტრზე. მოსალოდნელი იყო ამ შედეგის გაუმჯობესება ფინალში, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა, თუმცა მან მაინც შეძლო პირველი ადგილის დაკავება შედეგით 15,76 მ.

მძლეოსნობაში საქართველოს რესპუბლიკიდან მან მოგვიტანა პირველი სიხარული. ესტაფეტა 4×100 მ ჭაბუკთა შორის მოიგო რსფსრ-ს გუნდმა შედეგით—43,2 წამი. ჩვენი მორბენლები მეოთხე ადგილზე გამოვიდნენ — 44.0.

გოგონათა შორის ესტაფეტაში 4×100 მ გაიმარჯვა ლატვიის გუნდმა — 49,3. ბადროს ტყორცნაში პირველი იყო უკრაინელი გოგონა ვ. პოლიანსკაია — 39,55 მეტრი. სიმაღლეზე ხტომაში პირველი სამი ადგილი უკრაინელებმა მოიპოვეს. ესენი არიან ი. მატვეევი — 193 სმ, ა. ხმარსკი — 193 (ცდით მეტი) და ვ. მაზეპა — 190 სმ.

### მაგიდის ჩოგბურთი

საქართველოს მაგიდის ჩოგბურთელებიდან ვერც გოგონათა და ვერც ჭაბუკთა გუნდებმა საპრიზო ადგილი ვერ მოიპოვეს, მაგრამ მათი შედეგები არც ისე ცუდია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მათ მოსწავლეთა VI სპარტაკიადაზე ბოლო ადგილები ეკავათ.

ჩვენი ჭაბუკები V-VI ადგილის გამოსარკვევად შეხვდნენ ლიტვის ჩოგბურთელებს, დამარცხდნენ და VI ადგილით დაკმაყოფილდნენ. გოგონებმა წააგეს ლიტვის სპორტსმენებთან და IV ადგილზე დარჩნენ.

### ჩოგბურთი

დაიწყო ჩოგბურთელთა პირადი პირველობა. შეიძლება ითქვას, რომ გოგონათა შორის აქამდე ჩატარებულ შეხვედრებში ყველაზე საინტერესო იყო ლატვიელი მოსწავლის ლ. რაიტესა და საქართველოს წარმომადგენლის ლ. რიაზანოვას შეხვედრა. პირველი პარტია რიაზანოვამ წააგო. მომდევნო პარტიებში მან ბადესთან დროული და გააზრებული გასვლებით ინიციატივა ხელთ იგდო და დაამარცხა მოწინააღმდეგე — 2:1.

ჭაბუკ ჩოგბურთელთა შორის ა. მეტრეველმა პირად პირველობაზე უკვე მოიპოვა გამარჯვება უზბეკეთის წარმომადგენელ სლავინსკზე.

### კალათბურთი

როგორც უკვე ცნობილია, ჭაბუკები VII-XII ადგილებისათვის იბრძვიან. ამ ჯგუფში მათ მოუგეს პირველი შეხვედრა რსფსრ-ს გუნდს — 57:52. გოგონებმა ფინალური ჯგუფის პირველ შეხვედრაში განიცადეს დამარცხება ლენინგრადელებთან — 38:46. ეს მათი პირველი დამარცხებაა.

### წყალბურთი

ფინალის პირველ მატჩში ლენინგრადელებს შევხვდით. საქართველოს წარგზავნილებმა თამაში კარგად დაიწყეს და ლენინგრადელთა კარიც აიღეს. ამ ბურთის გაქვითვა მოწინააღმდეგემ მხოლოდ მეორე პერიოდში შეძლო. ამის შემდეგ მხოლოდ მეოთხე პერიოდში გაიტანეს ლენინგრადელებმა გადამწყვეტი გოლი — 2:1. ამ დღის დანარჩენი შეხვედრებიდან აღსანიშნავია აზერბაიჯანის გუნდის გამარჯვება რსფსრ-ს კოლექტივზე— 3:1, მოსკოველებისა—სომხებზე— 7:3.

### ფრენბურთი

ჭაბუკ ფრენბურთელთა შორის ფინალში გავიდნენ ლენინგრადის, მოსკოვის, საქართველოს, ლატვიის, უკრაინისა და ბელორუსიის გუნდები. ერთ-ერთ ცენტრალურ შეხვედრას წარმოადგენდა საქართველოსა და უკრაინის ფრენბურთელთა გუნდების მატჩი. ხუთ პარტიაში საქართველოს ფრენბურთელებმა დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს — 3:2. გოგონათა გუნდი დამარცხდა მოსკოველებთან — 2:3.

### ჭადრაკი

VI-XII ადგილებისათვის მებრძოლ ჯგუფში საქართველოს მოჭადრაკე ვაჟებმა დაამარცხეს უზბეკები — 3:1, ერთი პარტია გადადებულია. გოგონებმა ქვეჯგუფში კარგი სტარტის შემდეგ ფინალში წააგეს ლატვიის გუნდთან—0,5:1,5.

### ცურვა

ჩატარდა წინასწარი გაცურვები 100 მეტრზე თავისუფალი სტილით, 200 მეტრზე ბრასის სტილით (გოგონები და ჭაბუკები).

პირველი დღის შედეგების მიხედვით ჩვენი რესპუბლიკის მოცურავე ჭაბუკები 2787 ქულით მე-9 ადგილზე არიან. გოგონები 4397 ქულით მე-6 ადგილზე იმყოფებიან.

**ჯ. ენუქიძე,**
ჩვენი სპეც. კორ.

## რ. აბჯანდაძე — ნახევარფინალში

ხრაშხელსაკრელი ამინდის მიუხედავად დიდძალი მაყურებელი ესწრება მოსკოვის ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის კორტებზე გამართულ 12 ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელთა ტრადიციულ ტურნირს.

მაყურებელთა დიდ სიმპათიებს იმსახურებს თბილისელი სპორტსმენი რენა აბჯანდაძე, რომელიც ნახევარფინალში გასვლისათვის უნდა შეხვედროდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელს— ვ. ფილიპოვას. ურთიერთსად დაძაბული ბრძოლა ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ როცა ანგარიში გათანაბრდა — 5:5, ქართველმა ჩოგბურთელმა შეძლო მომდევნო ორი გეიმის ზედიზედ მოგება და პირველი პარტია თავის სასარგებლოდ დაამთავრა — 7:5.

მეორე პარტიაში ვ. ფილიპოვას წინააღმდეგობა შესუსტდა და ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა შედარებით ადვილ გამარჯვებას მიაღწია — 6:2. ამ გამარჯვებით რ. აბჯანდაძემ მოიპოვა ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება. აქ მომდევნო ეტაპზე გასვლისათვის იბრძოლებენ გ. ბაკშეევა, ვ. პუჟიევა და ა. დმიტრიევა.

## სსრ კავშირის თასზე

**ბაქო.** აქ შედგა მატჩი სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში, ერთმანეთს შეხვდნენ „ა" კლასის გუნდები: „ნეფტიანიკი" (ბაქო)-„კალევი" (ტალინი).

მატჩი მოიგეს ბაქოელებმა—2:1.

# ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია

## 1961-1964 წლებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

★ ★ ★ ★

# ფეხბურთი

**სპორტის ოსტატი**—მონაწილეობდეს გუნდის შემადგენლობაში, რომელიც სსრკ პირველობის გათამაშებაში „ა" კლასის გუნდებს შორის დაიკავებს I-VI ადგილს,

**ან**

მონაწილეობდეს „ა" კლასის გუნდის შემადგენლობაში, რომელიც სსრკ პირველობის გათამაშებაში ორი წლის მანძილზე ზედიზედ დაიკავებს VII-XII ადგილს,

**ან**

მონაწილეობდეს „ა" კლასის გუნდის შემადგენლობაში, რომელიც სამი წლის მანძილზე ზედიზედ დაიკავებს საშუალო ადგილს არა უარეს მე-14-სა,

**ან**

მონაწილეობდეს „ბ" კლასის გუნდის შემადგენლობაში, რომელიც დაიკავებს I-II ადგილს რსფსრ-ს პირველობის გათამაშებაში, I ადგილს უკრაინის პირველობის გათამაშებაში, ან მოიპოვებს პირველობას მოკავშირე რესპუბლიკათა ზონალურ შეჯიბრებებზე გამარჯვებულ გუნდთა შორის,

**ან**

ორჯერ მაინც ითამაშებს საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

**შენიშვნა.** სპორტის ოსტატის ნორმატივის მოთხოვნათა შესრულება ჩაეთვლებათ სპორტსმენებს, რომლებიც მორიგეობენ კალენდარით გათვალისწინებულ შესაბამის შეჯიბრებათა არანაკლებ 50 პროცენტს.

**I, II, III და ჭაბუკთა თანრიგები** — მონაწილეობდეს გუნდის შემადგენლობაში, რომელიც შეასრულებს აქ მოთავსებული ცხრილით გათვალისწინებულ სათანრიგო მოთხოვნებს.

## სათანრიგო მოთხოვნების ცხრილი ფეხბურთში

| შეჯიბრების დასახელება და მასშტაბი | შეჯიბრებებში მონაწილე ჯგუფებისა და გუნდების რიცხვი | თანრიგი: სპორტის ოსტატი | I | II | III | ჭაბუკთა I | ჭაბუკთა II |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გუნდების რაოდენობა, რომლებსაც ენიჭებათ თანრიგი | | | | | |
| 1. შეჯიბრება ფიზკულტურის კოლექტივების პირველობაზე | პირველობა 8 გუნდის მონაწილეობით | — | — | — | 2 | — | 2 |
| | იგივე II ჯგუფში 8 გუნდის მონაწილეობით | | | | | | |
| | II ჯგუფი | — | — | — | 2 | — | 2 |
| | I ჯგუფი | — | — | — | 1—4 | — | 1—4 |
| | იგივე III ჯგუფში 8 გუნდით | | | | | | |
| | III ჯგუფი | — | — | — | 2 | — | 2 |
| | II ჯგუფი | — | — | — | 1—4 | — | 1—4 |
| | I ჯგუფი | — | — | 1 | 2—5 | 1 | 2—5 |
| შეჯიბრება ფიზკულტურის კოლექტივების თასზე | 16 გუნდი | — | — | — | 2 | — | 2 |
| | 32 გუნდი | — | — | 1 | 2—4 | 1 | 2—4 |
| 2. შეჯიბრება რაიონისა და ქალაქის პირველობაზე ერთი გუნდის ჩათვლით | პირველობა 8 გუნდის მონაწილეობით | — | — | 1 | 2—4 | 1 | 2—4 |
| | იგივე ორი ჯგუფის მონაწილეობით: | | | | | | |
| | II ჯგუფი | — | — | 1 | 2—4 | 1—2 | 3—4 |
| | I ჯგუფი | — | — | 1—2 | 3—6 | 1—4 | 5—6 |
| | იგივე სამი ჯგუფის მონაწილეობით | | | | | | |
| | III ჯგუფი | — | — | 1 | 2—4 | 1—2 | 3—4 |
| | II ჯგუფი | — | — | 1—2 | 3—6 | 1—4 | 5—6 |
| | I ჯგუფი | — | — | 1—4 | 5—8 | 1—4 | 5—8 |
| რაიონისა და ქალაქის თასის გათამაშება | 16 გუნდი | — | — | 1—2 | 3—6 | 1—2 | 3—6 |
| | 32 გუნდი | — | — | 1—4 | 5—8 | 1—4 | 5—8 |
| 3. სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების პირველობა ქალაქში | | თანრიგების მინიჭების პირობები იგივეა, რაც რაიონებისა და ქალაქებისათვის (იხ. შენიშვნა 2) | | | | | |
| 4. ქალაქის პირველობა კომპლექსური ჩათვლით მესამე ჯგუფის გუნდების მონაწილეობით | III ჯგუფი | | | | | | |
| | მოზარდთა გუნდი | — | — | — | — | 1—2 | 3—4 |
| | მოზრდილთა გუნდი | — | — | 1 | 2—4 | — | — |
| | II ჯგუფი | | | | | | |
| | ჭაბუკთა II გუნდი | — | — | — | — | 1—2 | 3—4 |
| | მოზრდილთა II გუნდი | — | — | 1—2 | 3—6 | — | — |
| | ჭაბუკთა I გუნდი | — | — | — | — | 1—3 | 4—3 |
| | მოზრდილთა I გუნდი | — | — | 1—4 | 5—8 | — | — |
| | I ჯგუფი | | | | | | |
| | ჭაბუკთა III გუნდი | — | — | — | — | 1—4 | 5—8 |
| | მოზრდილთა III გუნდი | — | — | 1—2 | 3—6 | — | — |
| | ჭაბუკთა II გუნდი | — | — | — | — | 1—6 | 7—8 |
| | მოზრდილთა II გუნდი | — | 1 | 2—3 | — | — | — |
| | ჭაბუკთა I გუნდი | — | — | — | — | 1—8 | — |
| | მოზრდილთა I გუნდი | — | 1—3 | 4—5 | — | — | — |
| 5. სპორტსაზოგადოებების, უწყებების, ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების პირველობა | პირველობა მონაწილეობით: | | | | | | |
| | 8 გუნდის | — | 1 | 2—3 | — | 1—3 | — |
| | 12 გუნდის | — | 1—2 | 3—4 | — | 1—4 | — |
| | 16 გუნდის | — | 1—3 | 4—5 | — | 1—5 | — |

| შეჯიბრების დასახელება და მასშტაბი | შეჯიბრებებში მონაწილე ჯგუფებისა და გუნდების რიცხვი | თანრიგი: სპორტის ოსტატი | I | II | III | ჭაბუკთა I |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | გუნდების რაოდენობა, რომლებსაც ენიჭებათ თანრიგი | | | | |
| 6. გუნდური შეჯიბრება ოლქის, მხარის, ავტონომიური რესპუბლიკისა და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქთა პირველობაზე | პირველობა მონაწილეობით. | | | | | |
| | 8 გუნდის | — | 1—2 | 3—4 | — | 1—4 |
| | 12 გუნდის | — | 1—3 | 4—5 | — | 1—5 |
| | 16 გუნდის | — | 1—4 | 5—6 | — | 1—6 |
| იგივე თასზე | არანაკლებ 32 გუნდის მონაწილეობით | — | 1—2 | 3—4 | — | — |
| 7. სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების რესპუბლიკური პირველობა | პირველობა მონაწილეობით: | | | | | |
| | 8 გუნდის | — | 1—2 | — | — | 1—2 |
| | 12 გუნდის | — | 1—3 | — | — | 1—3 |
| | 16 გუნდის | — | 1—4 | — | — | 1—4 |
| 8. რესპუბლიკური პირველობა | პირველობა მონაწილეობით: | | | | | |
| | 8 გუნდის | — | 1—3 | — | — | 1—3 |
| | 12 გუნდის | — | 1—4 | — | — | 1—4 |
| | 16 გუნდის | — | 1 5 | — | — | 1—5 |
| იგივე რესპუბლიკური თასის გათამაშებაზე | არანაკლებ 16 გუნდის მონაწილეობით (მოზრდილთა) | — | 1—2 | — | — | — |
| 9. სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების საკავშირო პირველობები | იგივე ჭაბუკთა პირველობა | — | — | 1—2 | — | 3—6 |
| | | თანრიგის მინიჭების პირობები იგივეა, რაც მოკავშირე რესპუბლიკებისათვის (იხ. შენიშვნა 8). | | | | |
| 10. „ა" კლასის გუნდების დუბლშემადგენლობათა შეჯიბრება | პირველობა | — | ყველა გუნდი | — | — | — |
| 11. ფიზკულტურულ კოლექტივთა გუნდების შეჯიბრება სსრკ თასზე ან სსრკ ხალხთა სპარტაკიადაზე | პირველობა | 1 | 2—6 | — | — | — |
| | თასი | 1 | .—4 | — | — | — |
| 12. „ბ" კლასის გუნდების პირველობა | პირველობა | — | ყველა გუნდი | — | — | — |
| 13. „ა" და „ბ" კლასის ოსტატთა გუნდების სსრკ თასი | თასი | 1 - 4 | — | — | — | — |
| 14. „ა" კლასის გუნდების სსრკ პირველობა | პირველობა | 1—6 | — | — | — | — |
| 15. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა | | — | 1 | — | — | 2—6 |
| 16. ჭაბუკთა (ოსტატთა გუნდებთან არსებული) გუნდების შეჯიბრება | | — | 1—2 | — | — | 3—8 |
| 17. ახალგაზრდული გუნდების შეჯიბრება | | — | 1—4 | 5—8 | — | — |

**შენიშვნა: 1.** ფიზკულტურის კოლექტივთა გუნდების რაიონული ან საქალაქო პირველობის ჩატარების დროს ოთხი ან მეტი ჯგუფის მონაწილეობის შემთხვევაში გუნდების რაოდენობა, რომლებსაც ენიჭებათ მოზრდილთა I-II და ჭაბუკთა თანრიგები, შესაბამისად იზრდება ერთით.

2. ჭაბუკთა II და მოზრდილთა III თანრიგი ენიჭებათ იმ სპორტსმენებსაც, რომლებიც კალენდარული წლის განმავლობაში მონაწილეობდნენ საკლასიფიკაციო სათანრიგო მოთხოვნებში ჩამოთვლილ შეჯიბრებათა არანაკლებ 15 შეხვედრაში.

(დასასრული იქნება)

## „სპარტაკის" კონკურსი

საქართველოს სპორტსაზოგადოება „სპარტაკი" აცხადებს საკავშირო კონკურსს საჭადრაკო კომპოზიციაში, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს.

კონკურსი გაიმართება ორ და სამსვლიანი ამოცანებისა და ეტიუდების შედგენაში. გამარჯვებულთათვის თვითეულ განყოფილებაში დაწესებულია 5 ფულადი ჯილდო. გარდა ამისა, საუკეთესო კომპოზიციებს ენიჭებათ საპატიო და საქები შეფასებანი.

კონკურსის მასალები (თვითეული ნაწარმოები ორ ცალად) უნდა გამოიგზავნოს ნოემბრამდე, მისამართით: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 2, სპორტსაზოგადოება „სპარტაკი", კონკურსისათვის.

საკონკურსო მასალებს განიხილავს ჟიური: ა. ბატურინი, რ. კოფმანი (მოსკოვი), გ. ნადარეიშვილი (თბილისი).

შედგა მორიგი კალენდარული მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

ხობში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „კოლხეთისა“ და თბილისის არმიელთა გუნდები. მატჩის პირველი ნახევარი დამთავრდა უშედეგოდ, თუმცა ბურთის გატანის არაერთი შესაძლებლობა შეიქმნა ორივე კართან. შესვენების შემდეგ თბილისელები თამაშობდნენ გაცილებით უფრო აგრესიულად და სახიფათოდ. მათ სამი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0.

ჭიათურის „მაღაროელის“ ფეხბურთელებმა დიდი უპირატესობით ჩაატარეს მატჩი თავიანთ მინდორზე თელავის „კოლმეურნის“ წინააღმდეგ. ეს უპირატესობა განსაკუთრებით ნათელი იყო პირველ ტაიმში, როცა მასპინძლებმა ოთხჯერ აიძულეს მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში. მეორე ნახევრის დასაწყისში სტუმრები გადამწყვეტ კონტრშეტევაზე გადავიდნენ და ზედიზედ ორი ბურთიც გაქვითეს, მაგრამ მეტის გაკეთება მათ ვერ შეძლეს. მასპინძლებმა კვლავ აიღეს ხელთ ინიციატივა და საბოლოოდ მატჩი მოიგეს ანგარიშით 6:2.

ცხაკაიას „განთიადმა“ თავის მინდორზე მიიღო თბილისის „ისანი“. თამაშის პირველი ნახევარი ცხაკაიელებმა მოიგეს მინიმალური განსხვავებით — 1:0. შესვენების შემდეგ თბილისელთა კარში გატანილ იქნა კიდევ ორი ბურთი, რაც ძირითადად დაცვის შეცდომებს უნდა მიეწეროს. საერთო ანგარიშია 3:0 „განთიადის“ სასარგებლოდ.

სამტრედიაში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და წულუკიძის „ფაქტორი“. ფეხბურთელებმა სწრაფად ... თამაში და დასაწყისშივე ... კრიტიკული მომენტი მოწინააღმდეგის კართან, რომელიც არ იქნა გამოყენებული. შემდგომში სამტრედიელები თამაშობდნენ მეტი ყურადღებით და მონდომებით, რამაც თამაშის ბედი მათ სასარგებლოდ წარმართა. მატჩი მოიგო „ლოკომოტივმა“ — 2:0.

# გათამაშების საბოლოო ცხრილები (II ჯგუფი)

**მე-5 ზონა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შირაქი“ წითელწყარო | 4 | 4 | 0 | 0 | 12:3 | 8 |
| „კახეთი“ გურჯაანი | 4 | 3 | 0 | 1 | 15:5 | 6 |
| „ჩანჩქერი“ ლაგოდეხი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:18 | 3 |
| „ვარსკვლავი“ წითელწყარო | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | 2 |
| „ბახტრიონი“ ახმეტა | 4 | 0 | 1 | 3 | 6:11 | 1 |

**მე-6 ზონა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ადგ. მრეწ. კომბ. თეთრი წყარო | 5 | 3 | 2 | 0 | 8:6 | 8 |
| „ახალგაზრდობა“ ბოლნისი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:5 | 7 |
| ადგ. მრეწ. კომბ. მცხეთა | 5 | 2 | 1 | 2 | 10:10 | 5 |
| „მშენებელი“ რუსთავი | 5 | 1 | 2 | 2 | 9:7 | 4 |
| ა. ტ. კ. მარნეული | 5 | 2 | 0 | 3 | 10:14 | 4 |
| „ჯავახეთი“ დმანისი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:10 | 3 |

**მე-8 ზონა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ცემ. ქარხანა“ კასპი | 5 | 5 | 0 | 0 | 18:2 | 10 |
| „განთიადი“ ბორჯომი | 5 | 3 | 1 | 1 | 15:7 | 7 |
| „უღელტეხილი“ ხაშური | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 5 |
| „განთიადი“ გორი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:11 | 3 |
| „არაგვი“ დუშეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 11:23 | 3 |
| „იორი“ თიანეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 9:13 | 2 |

**მე-11 ზონა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლენინის სახ. შახტი ტყიბული | 4 | 4 | 0 | 0 | 9:3 | 8 |
| საქ. გუმბრინი წყალტუბო | 4 | 2 | 1 | 1 | 6:7 | 5 |
| „ხვამლი“ ცაგერი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 4 |
| საგზაო მშენებელი ონი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:3 | 2 |
| „კოლმეურნე“ ამბროლაური | 4 | 0 | 1 | 3 | 3:11 | 1 |

**მე-12 ზონა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „განთიადი“ ზესტაფონი | 5 | 4 | 1 | 0 | 18:4 | 9 |
| „ტორპედო“ ვანი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:5 | 6 |
| „მოდინახე“ საჩხერე | 5 | 2 | 1 | 2 | 6:11 | 5 |
| „მშენებელი“ მაიაკოვსკი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | 4 |
| „მშენებელი“ ჭიათურა | 5 | 1 | 0 | 4 | 0:5 | 2 |
| „ციცქა“ თერჯოლა | 5 | 1 | 0 | 4 | 2:9 | 2 |

* მე-7 ზონაში გამარჯვებული გამოვიდა ახალქალაქის „აბული“, რომელმაც დაამარცხა ბოგდანოვკის „ჯავახეთი“ ანგარიშით 1:0.

## ფინიშთან

ბათუმი. (ჩვენი სპეც. კორ.). აჭარის დედაქალაქის ჭადრაკის მოყვარულები XXIX ჩემპიონატის ნახევარფინალის XI ტურში მოწმენი იყვნენ უაღრესად დაძაბული ბრძოლისა. მხნედ მიიწევს წინ გურგენიძე, რომელმაც დღეს კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერობა. ერევნელ კალანტართან პარტიაში მან მიმართა წარსულში ცნობილი ქართველი მოჭადრაკის ა. დადიანის საყვარელ დაწყებას, რომელმაც მალე წარმოშვა რთული პოზიცია.

— შეიქმნა შთაბეჭდილება, — გაგვიზიარა მწვრთნელმა ვ. ქარსელაძემ, — თითქოს გურგენიძის ფიგურები მიაჯაჭვეს ერთ ადგილას, მაგრამ როგორც კი თამაში გასცდა დებიუტს, გურგენიძემ გონებამახვილური კომბინაციით მოიგო პაიკი. ამ ნადავლს მოჰყვა მეორე პაიკი, ხოლო კიდევ რამდენიმე სვლის შემდეგ ხარისხის შეწირვით საქართველოს ჩემპიონმა დაარღვია კალანტარის დანებება.

გიპსლისმა ადვილად დაძლია ანოხინის სუსტი წინააღმდეგობა და 27-ე სვლაზე პარტია გამარჯვებით დაასრულა. გაიმარჯვა ნეიმაც, რომელმაც გართულებებში დაამარცხა არაქელოვი.

ბაგიროვმა შავებით თანაბარი თამაში მიიღო ზახარიანთან და ყაიმით დაკმაყოფილდა. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული მოლდავეთისა და უზბეკეთის ჩემპიონების მოხიონჟიკისა და გრუშევსკის შეხვედრაში. არც ბუსლაევს გაურთულებია ბრძოლა. 24-ე სვლაზე იგი და პავლენკო ყაიმზე „შეთანხმდნენ“.

რთულად წარიმართა ლომაიაუსტინოვის შეხვედრა. უსტინოვმა ფიგურების გააქტივების მიზნით ლაზიერი შესწირა ეტლსა და კუში, მაგრამ ლომაიამ გადაუღობა მათ გზები, ჩაიგდო ინიციატივა და მეთოდური თამაშით პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა. პრესმა ხარისხის შეწირვით შექმნა გამსვლელი პაიკები და მათი ამოძრავებით დაამარცხა მალილბეილი.

ქლოვანმა მძიმე მდგომარეობაში გადადო პარტია როიზმანთან.

XI ტურის შემდეგ გურგენიძეს აქვს 9,5 ქულა, ნეისა და გიპსლისს — 8 ქულა თვითეულს, ბაგიროვს 7,5 ქულა.





## მოზარდ აკრობატთა შორის

რიგაში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობა აკრობატიკაში მოზარდთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები. სამი დღის ასპარეზობის შედეგად გუნდური ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: I ადგილი — ბელორუსია, II ადგილი — რსფსრ, III ადგილი — მოსკოვი, IV ადგილი — უკრაინა, V ადგილი — საქართველო, VI ადგილი — ლენინგრადი და ა. შ.

ცალკეულ სახეობებში ჩვენმა სპორტსმენებმა მოიპოვეს რამდენიმე საპრიზო ადგილი. ნ. ფურცელაძემ აკრობატულ ხტომებში მოზარდთა პირველი თანრიგის პროგრამით დაიკავა მესამე ადგილი. ძალისმიერმა სამეულმა პ. ტოკარევის, ტ. ნუცუბიძისა და ა. თედეევის შემადგენლობით მოიპოვა მეორე ადგილი. მეოთხე ადგილზე გამოვიდნენ მოზარდთა პირველი თანრიგის პროგრამით გათვალისწინებულ აკრობატულ ხტომებში ვ. პოპანდოპულო და ო. გულუაშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სპორტსმენებიდან 6 კაცი გამოდიოდა მოზარდთა პირველ თანრიგში, ხოლო სამი—მოზრდილთა პირველ თანრიგში, მაშინ, როცა პირველ ადგილზე გამოსული გუნდი დაკომპლექტებული იყო მხოლოდ ოსტატთა პროგრამით და მოზრდილთა პირველი თანრიგის პროგრამით მოვარჯიშე სპორტსმენებისაგან. ეს კი დიდი უპირატესობაა.

საქართველოს გუნდს შეჯიბრებისათვის ამზადებდნენ მწვრთნელები: ო. კაკიაშვილი, ვ. ალთუნაშვილი და ს. კრასიკოვი.

**ი. ეგნატაშვილი,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

• • •

**სურათებზე:** ზევით — საქართველოს მოზარდ აკრობატთა გუნდი. ქვევით — ო. გულუაშვილი ვარჯიშის დროს.

## რესპუბლიკის თასზე

მიმდინარეობს რესპუბლიკის თასის გათამაშება ფეხბურთში.

ტყიბულში თამაშობდნენ ორჯონიკიძის სახელობის შახტისა და ახალციხის № 1 შახტის გუნდები. პირველ დღეს დამატებითი დროის მიუხედავად გამარჯვებული არ გამოვლინდა — 3:3. განმეორებითი მატჩი დამთავრდა ტყიბულელთა გამარჯვებით — 1:0. აღსანიშნავია, რომ ახალციხელი ფეხბურთელები უდისციპლინოდ იქცეოდნენ მატჩის მსვლელობაში, ხოლო ზოგიერთი მათგანი ხულიგნობამდეც მივიდა, ამისათვის მსაჯმა მინდვრიდან გააძევა წოწორია და ტაბატაძე.

ასევე განმეორებითი შეხვედრა დაჭირდა ბათუმის „განთიადისა“ და ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის გუნდებს შორის გამარჯვებულის გამორკვევას. პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრედ—1:1. მეორე დღეს ქუთაისელებმა 4 „მშრალი“ ბურთი გაიტანეს მასპინძელთა კარში და მიაღწიეს გამარჯვებას — 4:0.

## ზონალური ტურნირი ჩეხოსლოვაკიაში

კურორტ მარიანსკე - ლაზნეში მწვავე შეხვედრებით აღინიშნება ჭადრაკში მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირის მეორე ნახევარი. სამმა გროსმაისტერმა — ოლაფსონმა (ისლანდია), ფილიპმა (ჩეხოსლოვაკია) და ულმანმა (გდრ) გაასწრეს კოლეგებს: XI ტურის შემდეგ ოლაფსონს 9,5 ქულა ჰქონდა, ხოლო ფილიპი და ულმანი (9 ქულა თვითეულს) უახლოეს კონკურენტებს თითქმის 2 ქულით უსწრებდნენ.

ტურნირში გათამაშდა XII და XIII ტურები, რომლებმაც განამტკიცეს ლიდერთა პოზიციები. XII ტურში ოლაფსონმა დაამარცხა ბულგარელი ბობოცევი, ხოლო ფილიპმა — ავსტრიელი გრაგერი. ულმანი ყაიმზე შეუთანხმდა იუგოსლაველ ჩირიჩს. XIII ტურში ოლაფსონმა კვლავ გაიმარჯვა ბარენდრეგტთან. ფილიპმა შვედ ლუნდკვისტთან და ულმანმა რუმინელ გიცესკუსთან პარტიები ყაიმით დაამთავრეს.

XIII ტურის შემდეგ ოლაფსონს 11,5 ქულა აქვს, ფილიპს — 10,5, ულმანს — 10, იოჰანსენს (ნორვეგია) — 8,5, გიცესკუს — 8, ჩირიჩს — 7,5 და ბობოცევს — 7 ქულა.

## კალათბურთი

**22 აგვისტო.** მოსკოვში გაიმართა კალათბურთელთა საკავშირო პირველობის ფინალური ტურნირის მეორე წრის შეხვედრა ადგილობრივ „დინამოსა“ და კაუნასის „ჟალგირისს“ შორის.

მატჩი მოიგეს დინამოელებმა — 82:71 (38:27).

**ვაჟები**

მდგომარეობა 24 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა მოსკოვი | 8 | 7 | 1 | 7 |
| „დინამო“ მოსკოვი | 9 | 7 | 2 | 7 |
| სკიფი კიევი | 7 | 5 | 2 | 5 |
| „დინამო“ თბილისი | 8 | 5 | 3 | 5 |
| სკა რიგა | 8 | 4 | 4 | 4 |
| „ბურ“. ლდ. | 7 | 2 | 5 | 2 |
| „ჟალგირისი“ კნ. | 8 | 1 | 7 | 1 |
| „სპარტაკი“ ლდ. | 7 | 0 | 7 | 0 |

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ა. აბზიანიძეს და თ. ბარამიძეს აინტერესებთ: ფეხბურთელთა რა ოფიციალური ტურნირები არსებობს ევროპაში?

ამბობენ, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებში ფეხბურთი სპორტის ყველაზე უფრო პოპულარული სახეობაა. ეს შეიძლება მართალიცაა, მაგრამ ფეხბურთის სიყვარულში მას არც ევროპა ჩამორჩება. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ყველაზე მეტი ოფიციალური ტურნირები სწორედ ევროპის ქვეყნებში ტარდება. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით ჩამოვთვალოთ მათ შორის უმნიშვნელოვანესი. რომლებიც რეგისტრირებულია ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ.

**ბრიტანეთის საერთაშორისო ჩემპიონატი.** იგი ტარდება 1884 წლიდან ინგლისის, შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილო ირლანდიის ნაკრებ გუნდებს შორის.

**ჩრდილოეთის თასი.** ამ თასის გათამაშება ეწყობა 1923 წლიდან შვეციის, ნორვეგიის, ფინეთისა და დანიის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. შედეგი განისაზღვრება ოთხი სეზონის მაჩვენებლების მიხედვით.

**შუა ევროპის თასი (გერეს თასი).** იგი წარმოიშვა ავსტრიის საფეხბურთო ასოციაციის ინიციატივით 1927 წელს. თასის გათამაშებაში მონაწილეობენ იტალიის, ავსტრიის, შვეიცარიის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და იუგოსლავიის გუნდები. ტურნირის ხანგრძლიობაა 3 წელი. 1953 წელს გათამაშებას მიეკუთვნა ავსტრიის საფეხბურთო ფედერაციის განსვენებული პრეზიდენტის ი. გერეს სახელი.

# ფეხბურთი!

**ხმელთაშუა ზღვის თასი.** ტურნირში მონაწილეობენ ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნები, მაგრამ ვინაიდან აქ ფეხბურთის კლასი არ არის თანაბარი, საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი მეორე გუნდებით გამოდიან, ხოლო დანარჩენები — პირველი შემადგენლობით. თასის გათამაშება ტარდება 3 წლის მანძილზე. [illegible]

**მიტროპის თასი** დაწესდა 1927 წელს. მონაწილეობენ ავსტრიის, უნგრეთის, იტალიის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის 2-2 გუნდი — ჩემპიონი და [illegible] ონი. ტურნირის ფორმულა ოლიმპიურია.

**ლათინური თასი.** ამ თასით, რომელიც 1940 წელს დაწესდა, ჯილდოვდება იტალიის, საფრანგეთის, ესპანეთის, პორტუგალიის ჩემპიონთა ტურნირში გამარჯვებული გუნდი.

**ევროპის ჩემპიონთა თასი** ჩამოყალიბდა ფრანგული სპორტული გაზეთის „ეკიპის“ ინიციატივით 1955 წელს.

**დუნაის თასი** დაარსდა სულ სამი წლის წინ. მონაწილეობს უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, ბულგარეთისა და რუმინეთის 16 საკლუბო კოლექტივი. ტურნირი ოლიმპიური სისტემით ტარდება.

**ევროპის თასი** თამაშდება ევროპის ქვეყნების ნაკრებ გუნდებს შორის. თასის ფორმულა ოლიმპიურია. გუნდები ერთმანეთს ხვდებიან ორჯერ, ხოლო ფინალი განისაზღვრება ერთი შეხვედრით. ამ თასის გათამაშება დაიწყო 1958 წელს. ორი წლის შემდეგ გამომჟღავნდა მისი პირველი მფლობელი—სსრ კავშირის ნაკრები.



# წიგნის თაროები სპორტული ლიტერატურით!

რედაქტორი ი. უგულავა.

## ეს წიგნი დაეხმარება მოთხილამურეებს

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ა. ბალაევიჩის „სათხილამურო სპორტი“. წიგნში განხილულია საქართველოში სათხილამურო სპორტის დანერგვის, განვითარების ისტორია და თხილამურებში ვარჯიშის მეთოდიკა.

— საქართველოში საბიჯებელი თხილამურების ისტორია შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ, — აღნიშნავს ავტორი, — თუმცა ამის შესახებ ისტორიულ წყაროებს არ მოუღწევია. მაგრამ არსებობს მრავალი ლეგენდა.

... მტერს ტყვედ ჩაუვარდა თენგიზი. იგი რამდენიმეჯერ შეეცადა გაქცევას, რისთვისაც მას ბორკილები დაადეს. ერთხელ დიდი თოვლი მოვიდა. თავადმა, რომელმაც ტყვედ ჩაიგდო თენგიზი, გადაწყვიტა ტყვე მაინც ვერ წავაო და მას ბორკილები მოხსნა. ერთხელ თენგიზმა შენიშნა ბავშვების მიერ მოტანილი თხილის წნელები, მან წნელებისაგან მოწნა დიდი „ნიჩბები“, ფეხებზე მოირგო, გავიდა თოვლში და გაიქცა. გაცოფებულმა თავადმა თენგიზს მდევრები დაადევნა, მაგრამ გვიანი იყო, მდევრები მას ვერ მიწვდნენ, რადგან თოვლში ჩაიფლნენ, ხოლო თენგიზმა თავს უშველა. ასეთია ერთ-ერთი ლეგენდის შინაარსი.

სათხილამურო სპორტი საქართველოში თითქმის ყველაზე ახალგაზრდა სახეობაა, მას კარგად ეუფლებიან მთიანი რაიონების ახალგაზრდები აჭარაში, სვანეთში, ყაზბეგში, ონში, ახალქალაქსა და, რაც მთავარია, ბაკურიანში, რომელიც თავისი შესანიშნავი მდებარეობით ცნობილია მთელს საბჭოთა კავშირში. ბორჯომის ეს პატარა სოფელი მალე გადაიქცა სათხილამურო მოძრაობის ცენტრად. ზამთრობით ბაკურიანში ათასობით მოთხილამურე ჩამოდის ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან.

ავტორი მკითხველს აცნობს სათხილამურო სპორტის განვითარების პირველ პერიოდს — ლაშქრობებს, სპორტის ამ სახეობის ენთუზიასტებს, პირველ შეჯიბრებებს. წიგნის ისტორიული ნაწილის შემდეგ ავტორი ფართოდ აშუქებს სათხილამურო სპორტის მოყვარულთათვის მრავალ საინტერესო საკითხს. თხილამურებით მოძრაობის ტექნიკას, სამთო-სათხილამურო სპორტის ტექნიკასა და მის შესწავლას, სპორტული წვრთნის საფუძვლებს, სათხილამურო სპორტის მატერიალურ ნაწილებს და სხვ.

წიგნის გამოცემა მეტად დროულია, რადგან რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დგას ზამთრის სპორტის სახეობათა განვითარების საკითხი. ა. ბალაევიჩის წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს თოვლიანი რაიონების საზოგადოებრივ მწვრთნელებს მოთხილამურეთა მომზადებაში.

საერთოდ, ასეთი სახის ლიტერატურა სპორტის სხვა სახეობებშიც რომ გვქონდეს, მომავალი თაობის აღზრდის საქმე ბევრს მოიგებდა.

ვ. გაგაშელი

## ევროპის რეკორდი

ლონდონში დიდი ბრიტანეთისა და უნგრეთის მძლეოსანთა შეხვედრის დროს ინგლისელმა არტურ როუმ დაამყარა ევროპის ახალი რეკორდი ბირთვის კვრაში. მისი შედეგია 19 მეტრი და 43 სმ.

ქვემოთ მოგვყავს ბირთვის კვრაში ევროპის სარეკორდო შედეგები 1959 წლიდან: 18 მ 03 სმ — ს. მეჩონი (იტალია), 1959, 18 მ 48 სმ — ს. მეჩონი, 1959, 18 მ 59 სმ — ა. როუ (დიდი ბრიტანეთი), 1959, 18 მ 67 სმ — ვ. ვარჟუ (უნგრეთი), 1960, 19 მ 11 სმ — ა. როუ, 1960, 19 მ 43 სმ — ა. როუ, 1961.

## სასუნთქი აპარატის გარეშე

წყალქვეშა სპორტში დამყარებულია ახალი მსოფლიო რეკორდი. გენუის მახლობლად გამართულ შეჯიბრებაზე ცნობილმა იტალიელმა სპორტსმენმა ქალმა ფ. ბორამ სასუნთქი აპარატის გარეშე ჩაყვინთა 25 მეტრის სიღრმეზე. წინა რეკორდი, რომელიც ამერიკელ ჟ. მაკ[illegible]ლის ეკუთვნოდა, უდრიდა 20 მეტრს.

ახალი რეკორდსმენი გემბანზე ამოყვანილ იქნა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში. მან განაცხადა, რომ რეკორდის შემდგომი გაუმჯობესება სასუნთქი აპარატის გამოყენების გარეშე არ შეიძლება.

„ნოვოსტის“ პრესის სააგენტო.



**30 აგვისტო**

საერთაშორისო შეხვედრა
საქართველო — აშშ

**28 აგვისტო**

კალათბურთი

სსრ კავშირის პირველობა
„დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი)

**29 აგვისტო**

თავისუფალი ჭიდაობა

საერთაშორისო შეხვედრა
საქართველო — შვეცია

**31 აგვისტო**

კალათბურთი

სსრ კავშირის პირველობა
„დინამო“ (თბილისი) — ცსკა

შეხვედრების დასაწყისი 19 საათსა და 30 წუთზე.

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ა. და ს. კოტრიკაძეებს მათი რძლის ციალა კაკალაშვილ-კოტრიკაძის გარდაცვალების გამო.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-89 62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვებისა — 3-01-96.
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04040